საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2517
12/06/2022

2517-21-2-202206121429

შპს „აგრო პროდუქტს“
მის: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნახშირღელე
ელ. ფოსტა: s_sos@live.com

ასლი: შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“
მის: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, შავგულიძის ქ. 1

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1442 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახშირღელეში შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ ფეროშენადნობების საწარმოს ტერიტორიაზე არსებული სასათბურე მეურნეობის მორწყვის მიზნით სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად);
- დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს ზედაპირული წყლის ობიექტიდან, კერძოდ, მდ. ჭიშურადან წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი თვეების მიხედვით წყლის სამარაგო რეზერვუარის შევსების ჯერადობა;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული ტუმბოების წარმადობა.

ამასთან, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასა და აგლომერაციის უბნის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-552 (17.06.2019) ბრძანებისა და შესაბამისი გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი სასათბურე მეურნეობისთვის წყლის გათბობა ხორციელდება ფეროშენადნობების ღუმელებიდან გამომავალი ცხელი აირების საშუალებით. ცხელი აირების გამწოვ მილზე დამონტაჟებულია ბოილერი,

რომელიც აცხელებს წყალს, გაცხელებული წყლით კი თბება სასათბურე მეურნეობა. საწარმოს ავარიული გაჩერების შემთხვევისათვის, ასევე, სარეზერვოდ გააჩნია ცხელი წყლის ბოილერი. **შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული დანადგარების უფლებამოსილი ოპერატორის თაობაზე ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო